დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2025 წლის 28 მარტი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის № 3-14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/02/2011; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: (020080000.35.156.016044) და დადგენილების:

1. **პირველ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებულ იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^6, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის

ნაწილში), 103, 119^1, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილები, $125^{4.}$ 127^1 მუხლის მე-5 ნაწილი, 134^1, 135, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5-152^9, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები, 153^4, 156^2, 156^4, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 159-ე, 159^1, 166^2, 172-ე (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის მიერ ვანდალიზმის ჩადენით), 172^8 და 172^9 მუხლები და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები“.

2. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1, 77^2, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 119^1, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილით, 125^4 , 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 130 მუხლის მე-4 ნაწილის ა)ქვეპუნქტი, 134^1, 135, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5-152^9, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები, 153^4, 156^2, 156^4,158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 159-ე და 159^1 , 166^2, 172-ე (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) მუხლებით და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — პაატა ყულიაშვილი